

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის  
წიფერჩის თემში მამუკა ხაბულიანის 2019 წლის გაწეული მუშაობის

ანგარიში

მე როგორც მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად ვარ ჩართული ჩემს თემში მიმდინარე პროცესში, ვახდენ მოსახლეობასთან ხშირ შეხვედრებს, სადაც ხდება არსებული პრობლემების გამოკვეთა და გამოიძებნება მათი გადაჭრის გზები, აქტიურად ვიყავი ჩართული „სოფლის მხარდაჭერის პროგრამებში“, პროგრამასთან დაკავშირებით ჩავატარეთ კრებები სოფლებში, სადაც მოსახლეობასთან ერთად შევარჩიეთ პრიორიტეტები. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ პროექტს მოსახლეობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა.

განხორციელდა რიგი პროექტები, აიგო ხიდ-ბოგირები, სანიაღვრე არხები, დაიგო ბეტონის გზები, გაკეთდა საყრდენი რკინა-ბეტონის კედლები, მოეწყო გაბიონები, შესრულდა გზის საფარის მოხრეშვა, შეკეთდა სასმელი წყლის სათავე-ნაგებობები და მილსადენები, გაკეთდა ღამის განათებები, რომლებსაც ჩემი უფლებამოსილებიდან გამომდინარე ვუწევდი აქტიურ ინსპექტირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ვარ აგრეთვე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე და აქედან გამომდინარე აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ საგენდერო კომისიებში, ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა-დამტკიცებაში, აქტიურად ვმონაწილეობ მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების ინსპექტირებაში.

ვმართავ კომისიის სხდომებს, სადაც განვიხილავ მოსახლეობის მიერ შემოსულ განცხადებებს, რომლებზედაც შემდგომში ვახდენ შესაბამის რეაგირებას.